სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080142050882219

№ 3716

05 / სექტემბერი / 2019 წ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 03 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის SMP190003527 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ჯგუფ „ნონსტოპ ბენდის“, ლელა წურწუმიას და მარიამ (მაკა) ზამბახიძის სახელოვნებო მომსახურების (CPV-92300000 - გასართობი მომსახურებები) შესყიდვას, ღირებულებით 17000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2019 წლის სექტემბრის თვეში „ყაზბეგობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით იმართება გალა კონცერტი. ღონისძიებაზე მოწვეული არიან სოლო მომღერლები: ლელა წურწუმია, მარიამ (მაკა) ზამბახიძე და მუსიკალური ბენდი „ნონსტოპ ბენდი“. მითითებული შემსრულებლები გაწევრიანებული არიან საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, რაც დასტურდება ასოციაციის მიერ 27.08.2019 წელს გაცემული 01/100-5307, 01/100-5308, 01/100-5309 ცნობებით. აქედან გამომდინარე, ჯგუფი „ნონსტოპ ბენდი“, ლელა წურწუმია და მარიამ (მაკა) ზამბახიძე წარმოადგენენ ექსკლუზიურ მიმწოდებლებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, ღონისძიებაზე მოწვეული შემსრულებლები (ჯგუფი „ნონსტოპ ბენდი“, ლელა წურწუმია და მარიამ (მაკა) ზამბახიძე) გაწევრიანებული

არიან საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, რაც დასტურდება ასოციაციის მიერ 27.08.2019 წელს გაცემული 01/100-5307, 01/100-5308, 01/100-5309 ცნობებით. აქედან გამომდინარე, ჯგუფი „ნონსტოპ ბენდი“, ლელა წურწუმია და მარიამ (მაკა) ზამბახიძე წარმოადგენენ ექსკლუზიურ მიმწოდებლებს.

შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის SMP190003527 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე